

ქალაქ ქუთაისში, მელიქიშვილის ქუჩა N12 საცხოვრებელი სახლის  
N84 ბინაზე, მოქალაქე გარიელი ლალადისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მელიქიშვილის ქუჩა N12 საცხოვრებელი სახლის N84 ბინაში მცხოვრები მოქალაქე გარიელი ლალადის განცხადება /2012 წლის 04.09 Nლ-7399/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მღებარე ქალაქ ქუთაისში, მელიქიშვილის ქუჩა N12 საცხოვრებელი სახლის N84 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, მელიქიშვილის ქუჩა N12 საცხოვრებელი სახლის N84 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე გარიელი ლალადეს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, მელიქიშვილის ქუჩა N12 საცხოვრებელი სახლის N84 ბინაზე /საერთო სასარგებლო ფართობი 35,58 კვ.მ./ მოქალაქე გარიელი ლალადის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ნ.კაჭკაჭიშვილმა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვალაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე